ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 347

"21" ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. 20ა (ს.კ. №01.14.14.005.035) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-ის (ს/ნ. 404567713) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39[1] მუხლისა და „ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. 20ა (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.035) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-ის (ს/ნ. 404567713) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ივლისის №23.996.1109 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ანაგი დეველოპმენტი 1"-ის (ს/ნ. 404567713) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 20ა (ს.კ.№01.14.14.005.035) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 6.3-მდე;

ბ) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) გადამეტება 0.5-დან 0.7-მდე;

გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მოთხოვნა გაუქმდეს;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო (სატრანსპორტო სქემა/ზეგავლენის შეფასება) და გამწვანების რეგულაციების გარეშე;

ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა-ნაგებობის განთავსების, სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისა და მიჯნის ზონის რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

ვ) შენობის დღეის მდგომარეობით არსებული მისასვლელი (№01.14.14.005.032 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის თაღის გამოყენებით) ჩაითვალოს მისასვლელად;

ზ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

თ) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმება, განხორციელდეს ფაქტობრივად არსებული სატრანსპორტო/საგზაო კავშირების გათვალისწინებით;

ი) შენობა-ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით განისაზღვროს, რომ ახალი შენობა-ნაგებობა, მათ შორის ღიობების მოწყობით, მიწის ნაკვეთზე განთავსდეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან დაშორება არ იყოს იმაზე ნაკლები, რაც იყო არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის შემთხვევაში. ხოლო, თუ ახალი შენობა-ნაგებობის განთავსებით მცირდება ეს დაშორება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე, აღნიშნული განხორციელდეს იმ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (მათ შორის, ღიობის მოწყობაზე), რომლის მხარესაც ეს გარემოება დგება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე